ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

ოქმი:ო97. 9725332001
თარიღი:28/11/2025

ლენტეხის მუნიციპალიტეტის ახალი მოწვევის

საკრებულოს

მორიგი სხდომა N-02

დ. ლენტეხი 20 ნოემბერი 2025წ.

მიმდინარე წლის 20 ნოემბერს დღის 12 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა. სხდომას უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე დავით პირველი. სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 18 (თვრამეტი) წევრი. საპატიო მიზეზით არ ესწრებოდა საკრებულოს 5 (ხუთი) წევრი.

სხდომას ესწრებოდა მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი დემური ლიპარტელიანი, საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის - აპარატის უფროსი მაყვალა ჩანქსელიანი.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. **,,2025 წელს ლენტეხის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 20 თებერვლის ბ-97.97250511 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

   /მომხს: მერიის ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი დემური ლიპარტელიანი/

2. **ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ.**

   /მომხს: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ხუტა მუკბანიანი/

3. **ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის ნაცვლად მისი ადგილმონაცვლის ცნობის შესახებ.**

   /მომხს: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე თორნიკე გასვიანი/

4. **2025 წლისათვის ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა რახგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N-19 დადგენილების N-1 დანართში ცვლილების შეტანის თაობაზე;**

/მომხს: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ირაკლი ქურასბედიანი/

5. ა(ა)ი.პირის ლადო მუსელიანის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ანგარიში მიმდინარე წლის 9(ცხრა) თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხს: ა(ა)ი.პირის ლადო მუსელიანის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი ინგა ონიანი

6.**მერიის ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის ანგარიში მიმდინარე წლის 9(ცხრა) თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.**

/მომხს: შესაბამისი სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი დემური ლიპარტელიანი/

/თანამომხს: საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე მევლუდ ლიპარტელიანი/

7. **ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შტატგარეშე პოზიციების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.**

/მომხს: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ხუტა მუკბანიანი

შენიშვნა დღის წესრიგთან დაკავშირებით არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგის პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

მომხრე - 18

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი წარმოდგენილი სახით.

1. **მოისმინეს:** მერიის ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა დემური ლიპარტელიანმა სხდომის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი - ,,2025 წელს ლენტეხის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 20 თებერვლის ბ-97.97250511 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

   მომხსენებელმა განმარტა, რომ მოსახლეობამ წამოაყენა ახალი პროექტი და სოფლის კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე უნდა შევიდეს ცვლილება განკარგულებაში.

   შენიშვნა განკარგულების პროექტთან დაკავშირებით არ ყოფილა.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე - 18

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: შევიდეს ცვლილება ,,2025 წელს ლენტეხის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 20 თებერვლის ბ-97.97250511 განკარგულებაში წარმოდგენილი პროექტის მიხედვით.

2. **მოისმინეს:** საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ხუტა მუკბანიანმა სხდომის წევრებს გააცნო ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დებულების პროექტი. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დებულება დამტკიცებულია 2014 წელს და იყო ცთომილებები, რაც გასწორდა.

   შენიშვნა დებულებასთან დაკავშირებით არ ყოფილა.

   სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე - 18

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: დამტკიცდეს ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-**საბიუჯეტო კომისიის დებულება წარმოდგენილი სახით.**

3. **მოისმინეს:** საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის წევრმა ამირან ქურასბედიანმა აღნიშნა, რომ: მიღებულია საკრებულოში **საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის N-**46 ლენტეხის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის N-16/2025 განკარგულება ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის ნაცვლად მისი ადგილმონაცვლის ცნობის შესახებ:

საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ზ“ ქვეპუნქტის, 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის, 77-ე მუხლის მე-4 პუნქტის, 154-ე მუხლის პირველი პუნქტისა და ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 13 ნოემბრის წერილის N-97-97253174 თანახმად:

1. ცნობილ იქნას ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საარჩევნო სუბიექტის ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ პარტიული სიით არჩეული მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის ლამზირა გუგავას (პარტიულ სიაში N-13) ადგილმონაცვლედ ამავე საარჩევნო სუბიექტის პარტიული სიით საკრებულოს წევრობის კანდიდატი მალხაზი ბენდელიანი.(პარტიულ სიაში N-14).

სხდომის წევრებმა ცნობად მიიღეს საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის ინფორმაცია ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საარჩევნო სუბიექტის ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ პარტიული სიით არჩეული მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის ლამზირა გუგავას (პარტიულ სიაში N-13) ადგილმონაცვლედ ამავე საარჩევნო სუბიექტის პარტიული სიით საკრებულოს წევრობის კანდიდატი მალხაზი ბენდელიანი.(პარტიულ სიაში N-14).

4. მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ ირაკლი ქურასბედიანმა სხდომის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი: 2025 წლისათვის ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N-19 დადგენილების N-1 დანართში ცვლილების შეტანის თაობაზე; მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შემცირდა საკრებულოში ფრაქციების რაოდენობა. შესაბამისად ცვლილება არის ფრაქციების თავმჯდომარეების და ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეების საერთო რაოდენობასთან დაკავშირებით. ეს ცვლილება უნდა აისახოს დადგენილებაში.

შენიშვნა საკითხთან დაკავშირებით არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ დადგენილების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე -18

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: შევიდეს ცვლილება 2025 წლისათვის ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N-19 დადგენილების N-1 დანართში.

5.მოისმინეს: ა(ა)ი.პირის ლადო მუსელიანის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა ინგა ონიანმა სხდომის წევრებს გააცნო ანგარიში მიმდინარე წლის 9(ცხრა) თვეში გაწეული მუშაობის შესახებ. მომხსენებელმა ილაპარაკა მიღწევებზე და ამავე დროს ყურადღება გაამახვილა პრობლემებზეც. გამოთქვა გულდაწყვეტა მწირ ბიუჯეტთან დაკავშირებით, რომ ვერ ახერხებს ახალი ნივთების შეძენას. ამავე დროს წინ წამოწია საკითხი, რომელიც შეეხებოდა - მუზეუმზე გამოყოფილი თანხის სხვა თემში გადატანას. ილაპარაკა ჩუკულის კოშკზე და მახუბზე, რომ უნდა ვიზრუნოთ ამ ძეგლის გადარჩენაზე.

აზრი გამოთქვა: დავით ფურელიანმა მუზეუმი არის ძალიან ფაქიზი თემა და შესაძლებლობის ფარგლებში უნდა დავუმატოთ თანხა განვითარებისათვის.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მუზეუმი არის ჩვენი რაიონის სავიზიტო ბარათი, ნამდვილად უნდა ვეცადოთ მერიასთან ერთად, რომ დავეხმაროთ განვითარებაში. მაგრამ აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ მწირი ბიუჯეტის პირობებშიც ძალიან ბევრ და კარგ ღონისძიებს ატარებს მუზეუმი. ვთვლი, რომ მუზეუმი მუშაობს ძალიან ნაყოფიერად. შესაბამისად ანგარიში უნდა შეფასდეს დადებითად.

საკრებულოს წევრებმა მოიწონეს წარმოდგენილი ანგარიში.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე -18

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დადებითად იქნეს შეფასებული ა(ა)ი.პირის ლადო მუსელიანის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ანგარიში მიმდინარე წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

6. მოისმინეს: მერიის ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა დემური ლიპარტელიანმა სხდომის წევრებს გააცნო ანგარიში მიმდინარე წელს გაწეული მუშაობის შესახებ. მომხსენებელმა ვრცლად ილაპარაკა შესრულებულ და მიმდინარე პროექტებზე. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ყველა ტენდერი შედგა გარდა სამი პროექტისა. ეს პროექტებია მუწდი, მუზეუმი, მამის წყალსადენი, არავინ არ მიიღო მონაწილეობა ამ ტენდერებში.

რაც შეეხება სოფლის პროგრამებს აღნიშნა, რომ 56 სოფელში თითქმის დასრულდა პროექტი ,დარჩა ოთხი სოფელი და ვცდილობთ, რომ ამ სოფლებშიც გამოვნახოთ შემსრულებელი, რომ ბოლომდე იქნეს ათვისებული ამ პროგრამით გამოყოფილი თანხები.

აზრი გამოთქვა: საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ხუტა მუკბანიანმა - კომპანიები არ ღებულობენ მონაწილეობას ტენდერებში, რაღაც გარკვეული მიზეზების გამო თავს იკავებენ. თუ ხელშეკრულება არ გაფორმდა თანხა იკარგება. ამიტომ მაქსიმალურად უნდა ვიზრუნოთ, რომ ტენდერი არ ჩაიშალოს და გაფორმდეს ხელშეკრულება.

მომხსენებელმა პასუხად აღნიშნა, რომ ყველა კომპანია ცდილობს აიღოს იოლი პროექტი და თავს არიდებენ რთულ პროექტებს.

აზრი გამოთქვა: დავით პირველმა - რომელ თანხასაც ვერ ვითვისებთ, იმ თანხაზე მერიის შესაბამისმა სამსახურმა წარმოგვიდგინოს ახალი პროექტი მიზნობრიობის შენარჩუნებით. მაქსიმალურად ვეცადოთ, რომ არ დავკარგოთ თანხები.

აზრი გამოთქვა : დავით ფურელიანმა - ტენდერებში არ მონაწილეობის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს ქალაქის შესაბამისად გაკეთებული ფასები. აქ არის სვანეთი და შესაბამისი ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით უნდა მოხდეს ფასების დადგენა.

პასუხად მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ტენდერის ჩავარდნის შემდეგ ვაკეთებთ ფასების გადაფასებას.

საკითხთან დაკავშირებით იყო შეკითხვები და მომხსენებელმა პასუხი გასცა ყველა შეითხვას.

აზრი გამოთქვა: სხდომის თავმჯდომარემ დავით პირველმა - მიუხედავად იმისა, რომ არის პრობლემები, საბოლოო ჯამში უნდა ავღნიშნოთ, რომ მერიის ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობა არის მისაღები. ვთვლი, რომ ანგარიში უნდა შეფასდეს დადებითად.

განსხვავებული აზრი არ დაფიქსირებულა.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე -18

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: მერიის ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის ანგარიში მიმდინარე წელს გაწეული მუშაობის შესახებ შეფასდეს დადებითად.

7. მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ხუტა მუკბანიანმა აღნიშნა, რომ მომზადებულია განკარგულების პროექტი - ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შტატგარეშე პოზიციების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საკრებულოს ნორმალური ფუნქციონირებისათვის სჭირდება შტატგარეშე მოსამსახურეები. კერძოდ:

1. **ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შტატგარეშე მოსამსახურეების რაოდენობა და პოზიციები განისაზღვროს შემდეგის მიხედვით:**

    1. **საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე - 1;**

    2. **შტატგარეშე დამხმარე მოსამსახურე - 4(ოთხი);**

    3. **კურიერი -1;**

    4. **მძღოლი -1;**

    5. **დამლაგებელი - 1.**

6. საკრებულოს კომისიებში მოწვეული სპეციალისტი -2.

7. IT - სპეციალისტი -1

შენიშვნა საკითხთან დაკავშირებით არ ყოფილა.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე -18

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი - ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შტატგარეშე პოზიციების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

სხდომის ბოლოს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, ჟასუნდერის თემის მაჟორიტარმა დეპუტატმა მარეხი ონიანმა დააყენა საკითხი სოფ. ჩუკულში ნაკიშერის უბანში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მქონე კოშკი-მაჩუბის რეაბილიტაციაზე. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის N10/2186 წერილის თანახმად ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები უნდა განხორციელებულიყო ,,კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით. მაგრამ სამწუხაროდ ეს საკითხი არ დაძრულა და ყოველდღე უფრო და უფრო ზიანდება აღნიშნული ძეგლი, რადგანაც წვიმების დროს მაჩუბში ჩამოდის წყალი და საჭიროებს სერიოზულ ყურადღებას.

საკრებულოს წევრებმა მოიწონეს აღნიშნული ინიციატივა და გადაწყვიტეს:

ეთხოვოს ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერს აღნიშნულ საკითხზე დააყენოს შუამდგომლობა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსთან,ძეგლთან დაკავშირებული სარეაბილიტაციო სამუშაოების დროულად დაწყებაზე.

საკრებულოს მორიგი სხდომა დასრულდა 14 საათზე.

დავითი პირველი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი